ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. "როკა" ვალერი ქარდავა

საფუძველი: 25.12.2013წ. 12/13213142-16 განცხადება

მისამართი: ქ.თბილისი, სექტორი-ნაძალადევი, ქსნის ქ. №14ა

საკ.კოდი: №01.12.08.003.030

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 13.05.2013 წ. №685365 (AR1120743)

ფუნქციური დანიშნულება: არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენებით) – III კლასი

ობიექტის შემოწმებით დადგინდა:

„1-10" ფასადი: +1.65 ნიშნულზე, „7-8" მონაკვეთში, მინაბლოკის ღიობში მოწყობილია გამწოვი მილი, ხოლო „8-9" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მცირე ზომის საჰაერო ღიობი. „6-6" ღერძთან კარის თავზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობი. „10-11" მონაკვეთში ფასადი მოსაპირკეთებელია. ფასადზე დამატებით მოწყობილია გამწოვი და წყალშემკრები მილები. „1-11" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდენციონერები. „1-6" მონაკვეთში ფასადზე არ არის ნაჩვენები ფანჯრების თავზე მოწყობილი ლითონის კონსტრუქციული ელემენტები. „4-5" მონაკვეთში +1.65 ნიშნულზე კოლონა გამოწეული კედლის სიბრტყიდან.

„მ-ბ" ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები. „მ-მ" ღერძის გარეთ შეცვლილია კარის ნახატი, კარის თავზე შემცირებულია გადახურვა სიმაღლეში დაახლოებით 1 მ-ით, ასევე შეცვლილია ჭიშკრის თავზე გადახურვის ფორმა. „მ-ბ" მონაკვეთში შეცვლილია ალუკობონდით მოპირკეთების ნახატი. „დ-ბ" მონაკვეთში მოსაპირკეთებელია კიბის ერთი საფეხური. ±0.00 ნიშნულზე, „მ-კ" მონაკვეთში ფანჯარაზე დამატებით მოწყობილია ჟალუზი. „მ-კ" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე, ვიტრაჟებზე დამატებით მოწყობილია გისოსები. „დ-ბ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ჟალუზი. ჭიშკრის გვერდებზე დამატებით შესრულებულია ქვით მოპირკეთება. +4.40 ნიშნულზე, „მ-კ" მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟი სიგანეში 0.5 მ-ით, ხოლო სიმაღლეში 0.3 მ-ით.

„10-1" ფასადი: +4.40 ნიშნულზე, „6-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი კონდენციონერი, ასევე ფასადზე მოწყობილია წყალშემკრები და გამწოვი მილები. „10-6" მონაკვეთში ფასადზე შეცვლილია რენდერზე ნაჩვენები ღებვის ფერი. „8-6" მონაკვეთში +4.40 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. ფასადზე დამატებით მოწყობილია ხის დეკორატიული ელემენტები. „6-1" მონაკვეთში +4.30 ნიშნულზე შეცვლილია ორი ფანჯრის ფორმა.

„ა-მ" ფასადი: „ა-მ" მონაკვეთში გადახურვებს შორის დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცელი. +2.10 ნიშნულზე, „თ-მ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთება.

„ა-ნ“ ფასადი მოსაპირკეთებელია. „ა-ე“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი.

I სართულზე: „ლ-ნ“ მონაკვეთში საპროექტო კედელსა და არსებულ კედელს შორის მანძილი შემცირებულია დაახლოებით 0.5 მ-ით.

±0.00 ნიშნულზე „4-4“ ღერძთან „დ-კ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის საფეხური. „მ-მ“ ღერძზე, „5-1“ მონაკვეთში კედელში დამატებით მოწყობილია ორი ღიობი. „1-1“ ღერძზე „მ-მ“ ღერძის გარეთ შემცირებულია ჭიშკრის სიგანე 0.6 მ-ით. ±0.00 ნიშნულზე „ბ-ბ“ ღერძზე „1-1“ ღერძის გარეთ გაზრდილია კედლის სიგანე 0.2 მ-ით.

სახურავზე „თ-ნ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. „1-10“ მონაკვეთში სახურავზე დამატებით მოწყობილია თუნუქის გამწოვი მილები.

შეამოწმა: _____ ი. ჩიტაძე

(24.01.2014წ.)